სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

პროგრეს ანგარიში | 2025

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სარჩევი

1. ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 5
ადამიანური რესურსები 5
ტექნოლოგიები და აღჭურვილობა 6
ინფრასტრუქტურული პროექტები 6
სატრანსპორტო საშუალებები 7
2. შიდა კონტროლი და მონიტორინგი 7
კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები 7
შრომის უსაფრთხოება 10
3. დარგობრივი მიმართულებები 10
ტყის აღრიცხვა 10
ტყის მოვლა-აღდგენა 11
ტყითსარგებლობა 13
4. საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები 16
5. საზოგადოებასთან ურთიერთობა 18
6. სამართლებრივი უზრუნველყოფა 19
7. ბიუჯეტის შესრულება 21

შესავალი

ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყნის ტყის მართვის ძირითადი ორგანოა. სააგენტოს ძირითად ფუნქციას ტყის მდგრადი მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება წარმოადგენს.

სააგენტო მართავს 1,738,282 ჰა სახელმწიფო ტყეს და რეგიონული სატყეო სამსახურების მეშვეობით, ქვეყნის 9 რეგიონში ოპერირებს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა).

ეროვნული სატყეო სააგენტოს პრიორიტეტული მიმართულებებია: ტყის აღდგენა, ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება, მერქანზე ხელმისაწვდომობის კანონიერი ზრდა და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა, რომელიც ასევე მოიცავს კერძო სექტორის ხელშეწყობას, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა და ეკოტურიზმის განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობების ზრდას.

დიაგრამა 1: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრუქტურა



1. ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა

ადამიანური რესურსები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **სააგენტოში დასაქმებულია 1201 ადამიანი.**

- ცენტრალურ აპარატი - 166 თანამშრომელი
  - ✓ შტატით განსაზღვრულ თანამდებობა - 85
  - ✓ ხელშეკრულება - 81
  - ✓ სტაჟიორი - 6
- რეგიონულ სატყეო სამსახურები - 1029 თანამშრომელი
  - ✓ შტატით განსაზღვრულ თანამდებობა - 371
  - ✓ ხელშეკრულება - 658

საანგარიშო პერიოდში:

- 58 ვაკანტურ თანამდებობაზე (შტატი) კონკურსის წესით დაინიშნა 33 კანდიდატი.
- საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაინიშნა 12 სტაჟიორი.
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2025 წელს დასაქმებული იყო 105 სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირი (88 ტყის მცველი, 9 დარაჯი, 8 დამლაგებელი).
- 830 თანამშრომელს უფინანსებდა ჯანმრთელობის დაზღვევა.
- 70-მა თანამშრომელმა მიიღო პროფესიული განათლება და აიმაღლა კვალიფიკაცია.

თანამშრომელთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფებითა და გენდერის მიხედვით



ტექნოლოგიები და აღჭურვილობა

- ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებისთვის შეძენილ იქნა უნიფორმის 990 ერთეული სრული კომპლექტი ყველა სეზონისთვის;
- ტყის დაცვისა და მონიტორინგის მიზნით შეძენილ იქნა: 14 ერთეული დრონი, 300 ერთეული ფოტოხაფანგი, 226 ცალი სამხრე კამერა.

ინფრასტრუქტურული პროექტები

- მიმდინარეობდა 9 ადმინისტრაციული შენობის (ონის, მცხეთის, საჩხერის, ლენტეხის, ასპინძის, სადმელის, ზესტაფონის, დუშეთის, ბახმარო) სამშენებლო სარემონტო სამუშაოები, საიდანაც დასრულდა 6, ბახმაროს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ხელშეკრულება ორმხრივი შეთანხმების აქტის საფუძველზე შეწყდა, ხოლო დუშეთისა და სადმელის ოფისის სარემონტო სამუშაოები დასრულდება 2026 წელს.
- 3 საქმიან ეზოში (იმერეთი: გრიგალათი-ხევი, ქვემო ქართლი: მამხუტი (მცხეთა-მთიანეთი: ჯიღაურა) დასრულდა ანგარის მოწყობის სამუშაოები.
- ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელი ჩორჩანას საქმიან ეზოს ტერიტორიაზე დასრულდა ნაპირსამაგრი გაბიონის და ეზოს ინფრასტრუქტურის მოწყობა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.
- დასრულდა თბილისის ცენტრალური ოფისის საკონფერენციო დარბაზის და რამდენიმე სამუშაო სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- დასრულდა თბილისის ცენტრალური ოფისის ადმინისტრაციული შენობის სარდაფის სართულზე არსებული ავტოფარეხის ფართში ჭერის სიბრტყის დონეზე, დროებითი დამცავი ლითონის ბადეების მოწყობის სამუშაოები.
- **სულ სააგენტოში, დღეის მდგომარეობით, მოწყობილია 70 საქმიანი ეზო** (ზესტაფონი, მათხოჯი, დაბა თიანეთი, ხევსურთსოფელი, თვალივი, ბულაჩაური, კანატია, ლისი, ბოდორნა, ციხისძირი, ანანური, ლაგოდეხი, თელავი-კისისხევი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, გურჯაანი, ახმეტა, კოჭბაანი, ანდეზიტი, წაღვერი, ასპინძა, ჩორჩანა, ზღუდერი, ლესემა, სადმელი, ბორჯომის პლატო, ხაშური, ახალციხე, ზუგდიდი, ამამლო, ხოდაშენი, ბოლნისი, ჩოხატაური, შემოქმედი, ჯიღაურა, ძეგვი, გორი-ბობნევი, კასპი, ყვარელი, ტყიბული, ახალსოფელი, მარტვილი, თეთრიწყარო, საჩხერე, ცაგერი-გაგულეჩი, მანდაეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური-ქვენობანი, ფშაველი, წალენჯიხა-

ჯვარი, ენისელი, ჭიკაანი, ყუდრო, ნერგეეთი, სორი, თეთრაწყარო, ოსიაური, ვანი, ხაბუმე, მანავი, კორბოული, წალკა, აწყური, სენაკი, ალექსეევკა, ჭიათურა-ხრეითი, ხობი-ხამისკური, ზარზმა, გრიგალათი-ხევი, მამხუტი); აქედან ორი საქმიანი ეზო (ლანჩხუთი და მანავი) გადაეცა სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

სატრანსპორტო საშუალებები

გამოცხადდა ტენდერი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე: საკუთარი სახსრების ფარგლებში შეძენილია 6 ერთეული III კლასის მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება, საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში განხორციელდა 65 ერთეული პიკაპის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვა, აქედან მოწოდებულია 20 ერთეული, ხოლო დანარჩენის მოწოდება განხორციელდება - 2026 წელს.

2. შიდა კონტროლი და მონიტორინგი

კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები

2025 წლის პერიოდში სააგენტოს კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსული დოკუმენტაციის, ასევე განხორციელებული საველე და დოკუმენტური შემოწმებების შედეგებზე, მოამზადეს 82 დასკვნა, რომელთა საფუძველზეც, სააგენტოს 102 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ: ,,შენიშვნა“ დაეკისრა 41 თანამშრომელს, „გაფრთხილება“ მიეცა 20-ს, „საყვედური“ გამოეცხადა 30-ს, ,,თანამდებობრივი სარგო დაუკავდა“ 1 მათგანს, ხოლო 18 თანამშრომელი „გათავისუფლდა სამსახურიდან“.

სამსახურებრივი შემოწმებებისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები (მ.შ დიდი ოდენობით უკანონო ჭრები) შემდეგ რეგიონებში:

რეგიონი	**ფაქტი**	**ზიანი (ლარი)**	**რესურსის მოცულობა (კბ.მ)**
იმერეთი	5	302,893.76	11,78.97
კახეთი	1	48,972.24	321.97
სამერგელო ზემო სვანეთი	1	8,080.32	53.16
ქვემო ქართლი	1	49,505.27	324.8
შიდა ქართლი	1	417.12	2,46
სულ:	9	409,868.71	1,881.36

სულ, ქვეყნის მასშტაბით რეგიონული სატყეო სამსახურების მიერ ხე-ტყის უკანონო ჭრის 852 ფაქტია გამოვლენილი, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი - 56 ფაქტი. უკანონოდ მოჭრილი რესურსის რაოდენობამ შეადგინა 5080,957 კბ.მ.

გამოვლენილი სამართალდარღვევები რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	**ადმინისტრაციული სამართალი**	**სისხლის სამართალი**	**უკანონოდ მოჭრილი რესურსი (კბ.მ)**
გურია	189	-	559,232
იმერეთი	102	18	1,151
კახეთი	119	7	376,42
მცხეთა-მთიანეთი	42	3	181
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	73	10	705,59
სამერგელო ზემო სვანეთი	24	2	39,35
სამცხე-ჯავახეთი	188	4	989,9
შიდა ქართლი	59	0	45,37
ქვემო ქართლი	160	12	1032,93
სულ:	956	56	5080,957

შრომის უსაფრთხოება

შემუშავდა და სააგენტოს უფროსის ბრძანებით დამტკიცდა:

- სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.
- სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომელთათვის ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ინსტრუქცია.
- სატყეო უბნის უფროსებს და ცალკეულ თანამშრომლებს, ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ ზოგადი ინსტრუქტაჟი.
- სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის, ოზაანის საქმიანი ეზოს რისკის შეფასების დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, რომლის გადახედვა და განახლება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დარგობრივი მიმართულებები

ტყის აღრიცხვა

2025 წლისთვის მართვის გეგმების მომზადების მიზნით ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები შესრულებულია ჯამში 1,018,086 ჰა ფართობზე, რაც სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სრული ტერიტორიის 59.64%-ია.

მათ შორის 2025 წელს:

- დამტკიცდა 1 მართვის გეგმა (დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბანი, 23,644 ჰა);
- შემუშავდა 4 მართვის გეგმა (ყვარლის სატყეო უბანი, 45 044 ჰა; თელავის სატყეო უბანი, 52 331 ჰა; ონის სატყეო უბანი, 57 417 ჰა; ცაგერის სატყეო უბანი, 50 827 ჰა);
- დასრულდა ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები 4 სატყეო უბანზე (ოზურგეთის სატყეო უბანი, 19 300 ჰა; თიანეთის სატყეო უბანი, 40 924 ჰა; საგარეჯოს სატყეო უბანი, 37 682 ჰა; გურჯაანის სატყეო უბანი, 28 848 ჰა);
- გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვა 2 სატყეო უბნისთვის ტყის ინვენტარიზაციის და მართვის გეგმების მომზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით (გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბანი - 20 433 ჰა, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანი - 71 532 ჰა);

მომზადდა ტექნიკური დავალება 4 სატყეო უბნისთვის ტყის ინვენტარიზაციის და მართვის გეგმების მომზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით (ბორჯომის სატყეო უბანი 19 760 ჰა; ბაკურიანის სატყეო უბანი, 26 136 ჰა; გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბანი 20 433 ჰა; ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანი 71 532 ჰა).

განახლდა ტყის ინვენტარიზაციის გრძელვადიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც სრულად, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორია განახლებული მართვის გეგმებით დაიფარება 2028 წელს.

ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება წლების მიხედვით, ჰა



ტყის მოვლა-აღდგენა

2025 წლის განმავლობაში ტყის აღდგენის ღონისძიებები მიმდინარეა ტყის აღდგენა-გაშენების **37 პროექტით** გათვალისწინებულ **3651,2 ჰა** ფართობზე, მათ შორის რეგიონების მიხედვით:

- კახეთი - 1762,3 ჰა (9 პროექტი)
- ქვემო ქართლი - 231,3 ჰა (11 პროექტი)
- გურია - 702,7 ჰა (2 პროექტი)
- სამცხე-ჯავახეთი - 779,9 ჰა (8 პროექტი)
- შიდა ქართლი - 62,4 ჰა (4 პროექტი)
- რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 100,6 ჰა (2 პროექტი)
- მცხეთა-მთიანეთი - 12,1 ჰა (1 პროექტი)

აქედან, 1851,9 ჰა (28 პროექტი) წარმოადგენს წინა წლებში (2022-2024) აღდგენილ ფართობებს, ხოლო, 1798,9 ჰა ფართობზე (9 პროექტი) სამუშაოები დაიწყო 2025 წელს.

საანგარიშო პერიოდში ფაქტიური სამუშაოები შესრულდა 2016,4 ჰა ფართობზე (მ.შ მოვლა - 1489,2 ჰა, ახალი სამუშაოები - 527,2 ჰა).

308,2 ჰა ფართობზე არ განხორციელდა სამუშაოები შემდეგი გარემოებების გამო:

- დასრულდა წინა წლებში დაწყებული 2 პროექტი - 25,9 ჰა
- 15 პროექტს შუალედური მონიტორინგების შედეგებიდან გამომდინარე არ დასჭირდა მოვლის სამუშაოები ჯამში 270,3 ჰა ფართობზე.
- 1 პროექტი - 12.1 ჰა მოსახლეობის პროტესტის გამო შეჩერებული იქნა დროებით და სამუშაოების დაწყება გადავიდა 2026 წლისთვის.
- 3 პროექტი 1326,6 ჰა ფართობზე მიმდინარეა და სამუშაოები საანგარიშო პერიოდისთვის დასრულებული არ არის (გეგმა-გრაფიკით დასრულების ვადა 2026 წლის I კვარტალი).

განხორციელდა საველე შესწავლები 2026 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების პროექტების მომზადების მიზნით. შერჩეულია დამატებით 2400 ჰა ფართობი (14 პროექტი) ყველა რეგიონში, ფართობების შერჩევა და პროექტირება დასრულდება 2026 წლის პირველ კვარტალში.

განახლდა ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების გრძელვადიანი გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმილია ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების ყოველწლიური ზრდა (10%) და ჯამში 2025-2036 წლებში ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები 51 000 ჰა ფართობზე განხორციელდება.

ტყის აღდგენის ღონისძიებები წლების მიხედვით, ჰა



ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების და მავნებელ-დაავადებების მართვის მიზნით 2025 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგისა და ბრძოლის მიზნით განთავსდა 1500 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი. მწერმჭერში ფერომონი შეიცვალა სამჯერ, ჩატარდა 12 მონიტორინგი, დაჭერილი და განადგურებული იქნა 864 000-მდე მავნე მწერი. მწერმჭერები ზამთრის სეზონისთვის ჩამოიხსნა და დასაწყობდა სოფ. სადგერისა და ახალციხეში არსებულ საქმიან ეზოებში.

ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის უზრუნველსაყოფად განახლდა ტყის ხანძრების მართვის გეგმები სატყეო უბნების მიხედვით და განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და პირადი დაცვის საშუალებების შესყიდვა ყველა სატყეო უბნისათვის (მათ შორის: ფოცხი - 412 ცალი, წერაქვი - 43, ბარი - 523, ნიჩაბი - 578, ნაჯახი - 2015).

ყველა სატყეო უბნის ტერიტორიაზე დამატებით განთავსდა 350 საინფორმაციო გამაფრთხილებელი ბანერი განახლებული დიზაინით (QR).

ტყითსარგებლობა

მერქნული რესურსით სარგებლობა

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ორგანიზებით განხორციელდა **323 451.04 კბმ** მერქნული რესურსის დამზადება. მათ შორის:

- სამეურნეო ჭრა - 95 762.27კბმ
- მოვლითი ჭრა - 543.46 კბმ
- სოციალური ჭრა - 227 145.31

მათ შორის რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	**სულ, კბმ**	**სამეურნეო ჭრა**	**მოვლითი ჭრა**	**სოციალური ჭრა**
გურია	4,459.51	1,553.26	-	2,906.25
იმერეთი	23,654.62	6,529.32	85.00	17,040.30
კახეთი	38,875.94	1,438.34	-	37,437.60
მცხეთა-მთიანეთი	29,112.72	2,879.07	-	26,233.65
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	35,842.82	13,622.45	-	22,220.37
სამერგელო ზემო სვანეთი	67,972.11	61,493.11	-	6,479.00
სამცხე-ჯავახეთი	51,986.38	6,638.23	458.46	44,889.69
შიდა ქართლი	36,750.3	1,608.50	-	35,141.80
ქვემო ქართლი	34,796.65	-	-	34,796.65

- საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგების მიზნით, დამზადებული და მიწოდებულია **15 852,34 კბმ** მერქნული რესურსი;
- სათბობი შეშით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია **227 145,31 კბმ** მერქნული რესურსი.

2025 წელს მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების სათბობი შეშით მომარაგება, კბმ



სატყეო გზები

ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა - რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარეობდა საველე სამუშაოები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ტყეკაფამდე მისასვლელად 2025 წელს დაპროექტდა მოწყობა - რეაბილიტაციის მიზნით 122,125 მ. სატყეო გზა.

შესრულდა - 99,100 მ (აქედან: სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები 88,864 მ; ხოლო, გზის მოწყობითი სამუშაოები 10,236 მ).

ტყით სპეციალური დანიშნულებით (იჯარა) და არამერქნული რესურსებით სარგებლობა

გაიცა 42 ნებართვა, მათ შორის:

- 9 ნებართვა საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით (სულ: 90,675 კვ.მ. წლიური საფასური: 87,881.39 ლარი);
- 11 ნებართვა სასოფლო-სამეურნეო (ფუტკრის დროებითი სადგომის მოწყობა) მიზნით (სულ: 72,548 კვ.მ. წლიური საფასური: 1,492 ლარი);
- 22 ნებართვა ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით (გადასახდელი თანხა შეადგენს 4,400 ლარს).

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის და სპეციალური ჭრის უფლება გაიცა 7343677 კვ.მ. მიწის ფართობზე, სულ 244 ბრძანება. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის და სპეციალური ჭრებისთვის გადასახდელი თანხა საორიენტაციოდ შეადგენს 18,108,819.12 ლარს.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით 2025 წელს დადებული და მოქმედი ხელშეკრულებები:

შპს „მაგთიკომი“ - გაფორმდა 9 (ცხრა) ხელშეკრულება, აქიდან ვადამდე ადრე შეწყდა 1 (ერთი) ხელშეკრულება.

შპს“ მაგთიკომი“ – 2,375 კვმ. მიწის ფართობი (16 ანძა), თანხა - 134,400 ლარი;

შპს „სელფი მობაილი“ - დაიდო 6 (ექვსი) ხელშეკრულება, აქიდან 1 (ერთი) შეწყდა ვადამდე ადრე.

შპს „სელფი მობაილი“ - 613 კვმ.ფართობი (5 ანძა), თანხა - 42,000 ლარი;

სს „სილქნეტი“ – 7,852 კვმ. ფართობი (52 ანძა), თანხა - 436,800 ლარი.

4. საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები

დონორების მხარდაჭერითა და საერთაშორისო პარტნიორების ფარგლებში 2025 წელს:

- **დასრულდა პროექტი:**

"ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა II"

დონორი: სლოვენიის რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობის და განვითარების ცენტრი (CMSR).

გრანტის მოცულობა: **548,440 ევრო**

განხორციელების პერიოდი: **2023 -2025 წწ.**

- ➢ ადიგენის მუნიციპალიტეტში მოეწყო 3 საკემპინგე, 3 საპიკნიკე სივრცე და ჯამში 26 კმ სიგრძის 5 საფეხმავლო ბილიკი;
- ➢ ადიგენის სატყეო უბნის კეხოვანის სატყეოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 2,714 კმ გზას, ხოლო მოეწყო - 2,461 კმ.

- **მიმდინარეა პროექტები:**

„ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში ტყის დეგრადაციის შედეგად სათბური აირების გამოყოფის შემცირებისთვის"

დონორი: გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ), კლიმატის მწვანე ფონდი (GCF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)

გრანტის მოცულობა: **14,573,206 ევრო**

განხორციელების პერიოდი: **2021 -2028 წწ.**

- ➢ პროექტის ფარგლებში, ტყის აღდგენის მიზნით მომზადდა 3 პროექტი კახეთში (578 ჰა), გურიასა (25,7 ჰა) და თიანეთში (12,1 ჰა), ასევე დაიგეგმა წინა წლებში დაწყებული და ამჟამად მიმდინარე ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების მოვლის სამუშაოები კახეთის რეგიონში (180.5 ჰა), გურიის რეგიონში (677 ჰა).

- ოზურგეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (19300 ჰა) განხორციელდა მიმდინარე ტყის აღრიცხვის ფარგლებში პირველი ეტაპით გათვალისწინებული დეშიფრირებული სახელმწიფო ტყის ფართობების გადამოწმება და შეთანხმება.
- ტყეთმოწყობის სამუშაოების მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება თიანეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (40924 ჰა).
- მომზადდა სატყეო გზების რეაბილიტაციის 2 პროექტი ლიხაურას (7,951 მ) და სურების (22,482 მ) სატყეო უბნისთივს.
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, კერძოდ თიანეთის სატყეო უბანზე, დაპროექტდა 13,712 მ გზის რეაბილიტაცია.
- ჩატარდა 2 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი (ლიხაური, შუა სურები). რეაბილიტაცია განხორციელდა სურები (7,312 მ)ლიხაურა (2,500მ).
- მომზადდა 2 ტექნიკური დავალება: „სატყეო გზების ინვენტარიზაცია და გეომონაცემთა ბაზის შექმნა“ და „ტყის ეკოსისტემების მოწყვლადობის შეფასების ხელშეწყობა და კლიმატის რისკების შემცირება“.
- თბილისსა და ახალციხეში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და სიმპოზიუმი ტყის მდგრადი მართვისა და აღრიცხვის საკითხებზე, ასევე, მეტყევეებისა და მეგზევეებისთვის ჩატარდა ტრენინგები გურიასა და კახეთში.

„საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“

დონორი: ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო (EACEA) ევროკომისიის მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში

გრანტის მოცულობა: **18,511 ევრო**

განხორციელების პერიოდი: **2023 -2027 წწ.**

პროექტის მიზანია, უმაღლესი განათლების სისტემაში სტრატეგიული ჩარჩოს შეცვლა, დუალური განათლების დანერგვის უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში, ეროვნული სატყეო სააგენტო ხელს შეუწყობს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს ორმაგი განათლების დასანერგად საპილოტე ღონისძიებების განხორციელებაში. პროექტის განხორციელების მიზნით შექმნილია კონსორციუმი და მომზადებულია დუალური განათლების ზოგადი მოდელი.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში მომზადდა **9 ვიდეორგოლი** შემდეგ თემატიკაზე:

1. ***საინფორმაციო კამპანია - იცოდე, რატომ არის ქართული ტყე უნიკლაური***

- ტყის ჰაბიტატის სერვისები
- მომარაგების სერვისები
- ტყის მარეგულირებელი სერვისები
- ტყის კულტურული სერვისები ტყით სპეციალური სარგებლობა
- ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა

2. საინფორმაციო კამპანია - „ნუ მოჭრი ბზას“

- ვიდეორგოლი მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით
- საინფორმაციო კამპანია - საქართველოს ტყის ეკოსისტემა და დაცვა; ასევე, ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირების ფაქტებზე კანონის გამკაცრების შესახებ
- ვიდეორგოლი ტყის ბიომრავალფეროვნების შესახებ;
- ვიდეორგოლი ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტებზე კანონმდებლობის გამკაცრების შესახებ;

3. საინფორმაციო კამპანია - „ნუ მოჭრი ნაძვს“

ვიდეორგოლი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მონაწილეობით.

- მეტყევის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით დამზადდა **8 ვიდეო-ბლოგი** „მე მეტყევე ვარ“.
- მომზადდა და განთავსდა ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობის ამსახველი **70 ბანერი** (კვირის მნიშვნელოვანი სიახლეები, გამოვლენილი სამართალდარღვევათა სტატისტიკა და ა.შ.)
- 2025 წლის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა 53 **სიუჟეტი**. ძირითადი თემატიკა: ტყის მოვლა აღდგენა, ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები, ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტების გამოვლენა, სხვადასხვა კამპანიები.
- სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული აქტუალური თემები გაშუქდა სხვადასხვა სატელევიზიო არხის **40 გადაცემაში.**

- სოციალური ქსელი Facebook-ის მომხმარებელთა რაოდენობა 2025 წლის განმავლობაში **18,800**-მდე გაიზარდა.

6. სამართლებრივი უზრუნველყოფა

სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის ეტაპობრივი სრულყოფის მიზნით სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტები

- „საქართველოს რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება;
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი ტყითსარგებლობის მომსახურების საფასურის გადახდის წესის ცვლილებაზე;
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბრის N2-1121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (ტყითსარგებლობის დაზუსტებასთან დაკავშირებით);
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის №2-796 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;

- „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სატყეო გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;
- ,,საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის №2-796 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;
- „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 ივლისის N383 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

7. ბიუჯეტის შესრულება

ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლისათვის, ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 63,750.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 24,750.00 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 39,000.00 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები განსაზღვრული იქნა 73,750.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,750.00 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 49,000.00 ათ. ლარის ოდენობით. *საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის N523 განკარგულებით* დაზუსტდა აღნიშნული მაჩვენებლები და სააგენტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში- 83,750.00 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,750.00 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 59,000.00 ათ. ლარი.

2025 წლის მეოთხე კვარტალში დაზუსტდა მაჩვენებლები და სააგენტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში - 82,437.9 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 23,437.9 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 59,000.00 ათ. ლარი.

გარდა აღნიშნულისა, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2025 წელს გასაწევი ხარჯების გეგმამ შეადგინა 2,759.15 ლარი.

დასახელება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა				2025 წლის ფაქტი				2025 წლის შესრულება			
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	**24,055.0**			**24,055.0**	**24,055.0**			**24,055.0**				
შემოსულობები	**65,197.05**	**23,437.90**	**2,759.15**	**39,000.00**	**85,245.89**	**23,293.81**	**722.17**	**61,229.91**	**131%**	**99%**	**26%**	**157%**
შემოსავლები	**65,197.05**	**23,437.90**	**2,759.15**	**39,000.00**	**85,245.89**	**23,293.81**	**722.17**	**61,229.91**	**131%**	**99%**	**26%**	**157%**
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	23,437.90	23,437.90	-	-	23,293.81	23,293.81	-	-	99%	99%		
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	39,000.00	-	-	39,000.00	61,229.91	-	-	61,229.91	157%			157%
გრანტები	2,759.15	-	2,759.15	-	722.17	-	722.17	-	26%		26%	
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა 31 09	**85,197.05**	**23,437.90**	**2,759.15**	**59,000.00**	**67,774.43**	**23,293.81**	**722.17**	**43,758.45**	**80%**	**99%**	**26%**	**74%**
ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 31 09 01	**35,081.96**	**9,880.30**	**39.66**	**25,162.00**	**30,578.36**	**9,842.36**	**2.17**	**20,733.12**	**87%**	**100%**	**5%**	**82%**
ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 31 09 02	**6,815.61**	**900.00**	**65.61**	**5,850.00**	**4,039.83**	**900.00**	**-**	**3,139.83**	**59%**	**100%**		**54%**
ტყითსარგებლობის ღონისძიებები 31 09 03	**41,749.48**	**12,407.60**	**2,653.88**	**26,688.00**	**31,935.87**	**12,301.45**	**720.00**	**18,914.42**	**76%**	**99%**	**27%**	**71%**
ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები 31 09 04	**1,550.00**	**250.00**	**-**	**1,300.00**	**1,220.36**	**250.00**	**-**	**970.36**	**79%**			**75%**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**4,055.00**			**4,055.00**	**41,527.18**			**41,527.18**				

კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები:

ფაქტობრივად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა **2025 წლის მდგომარეობით შეადგინა 61,229.91 ათ. ლარი.**

გრაფიკი N1
2025 წლის საკუთარი შემოსულობების რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები სახეების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო ხაზინა

დაფინანსება სხვა წყაროებიდან:

საანგარიშო პერიოდში, მიზნობრივი გრანტების ფარგლებში განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურები და დამტკიცდა მიზნობრივი გრანტების ხარჯთაღრიცხვები:

- ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის" ხელშეკრულების ფარგლებში - 65,6 ათ. ლარზე; (ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის);
- დამტკიცდა 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 2 653.88 ათ. ლარზე, (8 სამიზნე სატყეო უბანი)“ მიზნობრივი გრანტი N2471, 10.03.2022, (ფულადი გრანტის მთლიანი მოცულობა - 14,873,206.00 ევრო).
- „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“ - ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა (ევროკომისია) და 16 ბენეფიციარს, მათ შორის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის ხელმოწერილ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში - 39,7 ათ. ლარზე.

სულ ჯამში მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2025 წელს გასაწევმა ხარჯების გეგმამ შეადგინა 2,759.15 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 722.17 ათ. ლარი.

ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია:

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N523 21.03.25) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N310 21.02.25) „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“;

- ✓ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 25 მარტის N2-240 ბრძანების საფუძველზე მომზადდა სააგენტოს 2024 წლის ანგარიში და 2025 წლის კვარტალური ანგარიშები.
- ✓ მომზადდა ფინანსური დეპარტამენტის 2024 წლის ანგარიში და 2025 წლის კვარტალური ანგარიშები.
- ✓ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების თანახმად მომზადდა 2024 წლის ანგარიში და 2025 წლის კვარტალური ანგარიშები.
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ მომზადდა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი) თანახმად კვარტალური ანგარიშგება - N10, N11, N12, N13;
- ✓ სააგენტოს მიერ გასაწევი ფასიანი მომსახურეობის ნაწილში მომზადდა და გაფორმდა 39 ხელშეკრულება *(მერქნული რესურსის აღრიცხვისა და საკადასტრო ნახაზების მომზადების);*

ელექტრონული აუქციონის წესით მერქნული რესურსის რეალიზაცია

- 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა 1339 ელექტრონული აუქციონი. სტატუსით გაყიდული მერქნული რესურსის მოცულობამ შეადგინა 182 726,631 კუბური მეტრი. აუქციონის გასაყიდმა თანხამ შეადგინა 40 878 597,76 ლარი.
- სახელმწიფო ტყის მიწის ნაკვეთზე საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით გამოცხადდა 15 ელექტრონული აუქციონი, აქედან შედგა 13 ელექტრონული აუქციონი (2978 კვმ-ზე), რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 176’400 ლარი;

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გამოცხადდა 14 აუქციონი, საიდანაც შედგა 9 ელექტრონული აუქციონი (90’675 კვმ-ზე), რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 87 881,39 ლარი.
- გამოცხადდა 2 ელექტრონული აუქციონი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარგებლობაში არსებული შენობის პირველ სართულზე ერთი ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით, საიდანაც ერთი აუქციონი ჩაიშალა, ხოლო მეორე შედგა, რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 1’010 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით - 10,881,605.85 ლარზე, საკუთარი სახსრებით - 11,043,826.66 ლარზე, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში - 485 626,39 ლარზე.